ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20

2015 წლის 7 ივლისი

ქ. ბორჯომი

„ქ. ბორჯომის მიწათსარგებლობის გეგმის და საკადასტრო რუკის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 6 თებერვლის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ბორჯომის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და საკადასტრო რუკის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 6 თებერვლის №7 დადგენილებაში (ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის კოდი 330.090.020.35.139.001.545,19.02.2008) და დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ბორჯომის მიწათსარგებლობის გეგმის – არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 64.23.03.448) ნაწილში სატრანსპორტო ზონა – 1 (ტზ-1) შეიცვალოს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ -2) ფუნქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზაზა ჩაჩანიძე**